

თავი 19

მოგების გადასახადის აღრიცხვა – ტესტები

1. სააღრიცხვო მოგება არის:

- ა) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის თანხა სავადასახადო ხარჯის ჩათვლით;
- გ) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის თანხა სავადასახადო ხარჯის გამოქვითვამდე.

2. სააღრიცხვო მოგების გაანგარიშება ეფუძნება:

- ა) შემოსავლებისა და ხარჯების საბალანსო ღირებულებას;
- ბ) შემოსავლებისა და ხარჯების სავადასახადო ბაზას;
- გ) შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებულ ღირებულებას.

3. სავადასახადო (დასაბეგრი) მოგება არის:

- ა) საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის თანხა, სავადასახადო ხარჯის ჩათვლით;
- ბ) სავადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (დაბრუნება);
- გ) მოგება, რომელიც გამოითვლება ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით.

4. აქტივის ან ვალდებულების სავადასახადო ბაზა არის:

- ა) თანხა, რომელიც უნდა გამოაკლდეს მომავალ პერიოდში მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს;
- ბ) ფინანსურ და სავადასახადო მოგების თანხებს შორის უმცირესი თანხა;
- გ) თანხა, რომელიც გამოიყენება მოცემული აქტივის ან ვალდებულების სავადასახადო მიზნებისათვის.